



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
 ვ ა ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ბ ი ს ს ა კ რ ე ბ უ ლ ო
 G E O R G I A
 M U N I C I P A L I T Y C O U N C I L O F V A N I



განკარგულება:გ-65.65221034

თარიღი:13/04/2022

**ვანის მუნიციპალიტეტში 2022 წელში განსახორციელებელი სოფლის
 მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით
 შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის #277 განკარგულებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ განკარგულების შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცებულ იქნას ვანის მუნიციპალიტეტში 2022 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტები (დანართის შესაბამისად).
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა.
3. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქუჩა N1).

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
 თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
 ელექტრონული ხელმოწერა/
 ელექტრონული შტამპი

